ხობის მოამბე

„თვითმმართველობის უმაღლესი ფასეულობა სოფლის ყოველდღიურის საფასურია. საცა უნდა ვიაროთ, ოღი ყველაფერ ხერხია... ყოველი სასოწარკვეთილი, თითოეული ფრსწდ ცოდეთ თუ ბოროტად ვიაქვეთ, ნაფერი-ნაფერადად ანის ვიაკოთეფილი, თუმ მოვალეა ვინ ანაწილოთხა აკეთილი იყოს.“

№7 (7102) 3 აგვისტო,
პარასკევი, 2018 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

საპრეზიდენტო არჩევნები 28 ოქტომბერს გაიმართება

საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პრესკონფერენციაზე გამოაცხადა.

„მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნოს 2018 წლის 28 ოქტომბერს. ეს გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით. ამიტომ, დღეს შესაბამისი დადგენილება გადაეგზავნება პრემიერ-მინისტრს და შემდეგ წარიმართება შესაბამისი პროცედურები“–განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

31 ივლისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე მოისმინეს ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შესრულების ანგარიში, რომლის თანახმადაც ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ, საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 10779,9 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 12682,2 ათასი ლარი.

6 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 50,6%-ით.

საკრებულოს წევრების მიერ 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შესრულების ანგარიში დამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული.

სხდომაზე ასევე განიხილეს განკარგულების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, რომელიც მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მხარდაჭერით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გაწერილია კანონით გათვალისწინებული ის აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს მუნიციპალიტეტის მხრიდან გენდერულ ჭრილში, გეგმით დადგენილ პერიოდში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ამ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ტკივილადქცეული თარიღი–8 აგვისტო

დრომ ვერ გაანელა სევდა, ვერ დააშრო ცრემლი, ვერ გატეხა რწმენა, რომ ლომგულა ვაჟკაცები კიდევაც დაიზრდებიან...

ვდგევარ აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალთან, ვკითხულობ თქვენს-სახელ გვარებს, (უაზროდ ვაყოლებ თვალს ასოებს, რადგან ზეპირადაც ვიცი, რაც წერია, რა დამავიწყებს) გოგა ბერაია, მიხეილ იოსავა, ლევან ჭოჭუა, დათა ხურცილავა, გოგა ჭითანავა, ზვიად დათუაშვილი, ლევან ტურავა, გოგიტა ქარჩავა, რამაზ კიტია და მიხარია, რომ საქართველო თქვენი სახელით შეიმოსა, შეცვლილი სახელი–„უკვდავება“ შეგესისხლხორცათ და შეგიმშვენათ...

მიწა სხეულს ჭამს, სული მუდამ ჩვენთან ტრიალებს. ისევე არ გვტოვებს, როგორც ჩვენ არ ვტოვებთ და ისევე ვუყვარვართ, როგორც ჩვენ ისინი.

უკვდავია ჩვენი ერი და ქვეყანა, მის აღმშენებლობასა და უკვდავებაში თითო აგური თქვენია, ბიჭებო!

საქართველო ბრწყინავს თქვენით, რადგან თქვენი თვალების სხივი სამარადისოდ აძლევს მას ბრწყინვალებას...

თქვენ თქვენი ახალგაზრდული ცხოვრება მარგალიტებად აკინძეთ და სამუდამოდ ანათებთ წუთისოფელს, სადაც ჩვენ სტუმრად ვართ...

არა მარტო ჩემს თაობას, არამედ თქვენს თანამედროვეთაც უკვე ჭაღარა შეპარვიათ, თვალთა უპეებს ნაოჭი გაჰყოლია... თქვენს მშობლებსა და ახლობლებზე არას ვამბობ, შეხვედრისას ვითომ სიხარულიან სალამს მოგაგებებენ და თვალის სიღრმეში უსაშველო სევდა რომ ჩაგუბებიათ...

ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართ, დღეს ჩვენ გესიყვარულებით სევდიანი და ცრემლიანი სიტყვებით, ხვალ ვინძლო ჩვენ „ვითხოვდეთ“ იგივეს.

მთავარია გვახსოვხართ, გვიყვარხართ, გეფერებით და ჩვენს მომავალ თაობებს ვასწავლით რა არის სამშობლოსთვის თავდადება, რომ თქვენი სახელები უკვდავია, ვითარცა საქართველო.

კიდევ ერთხელ გეტყვით–უკვდავებასთან ხართ წილნაყარნი...

მერი ლაგვილავა.

ხობი-„ბოტნეობა“-2018



12 აგვისტო ცოცნე დადიანის (ალმსარებლის) ხსენების დღესასწაული, სახალხო დღესასწაული.

გილოცავთ!

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საერთაშორისო „კონფერენცია–ღია პარლამენტის დღე“ გაიმართა

ღია მმართველობის გლობალური სამიტის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს პარლამენტმა „საკანონმდებლო ღიაობის დღეს“ უმასპინძლა. საერთაშორისო ღონისძიებას 24 ქვეყნისა და 12 პარლამენტის 200-ზე მეტი წარმომადგენელი შეუერთდა.

„ღია პარლამენტის დღეზე“ გამართული მსჯელობა საკანონმდებლო ღიაობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო, მათ შორის საპარლამენტო რეფორმების გატარებასა და ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას.

„ღია პარლამენტის დღე“ გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ. მან ხაზი გაუსვა საპარლამენტო ღიაობის მნიშვნელობას დემოკრატიულ განვითარებაში და აღნიშნა საქართველოს მიღწევები ღია პარლამენტის პრინციპების დანერგვის გზაზე.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდნენ.

კონფერენციაზე გამართული მსჯელობა შეეხო საკანონმდებლო გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას. მონაწილეებმა ისაუბრეს საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ახალ გზებზე, როგორიცაა მონაწილეობითი კანონშემოქმედება (crowdlaw) და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება. მათ, ასევე განიხილეს საკანონმდებლო ჩართულობის პოლიტიკა, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველმა კომიტეტმა 2016 წლის სექტემბერში მიიღო.

საპარლამენტო ღიაობის დღის ორგანიზატორი იყო საქართველოს პარლამენტი ღია მმართველობის პარტნიორობასთან (OGP) თანამშრომლობით, ხოლო მხარდამჭერები - ევროკავშირი (EU), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (USAID/GGI), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).

გურიფულში კვირიკესა და ივლიტას ხსენების დღე აღნიშნეს



ეს დღესასწაული წლებია განსაკუთრებულად აღინიშნება გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც, წმინდა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ეკლესია შენდება.

მოწამეთა ხსენების დღეს ხობის წმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა კირიონ დარასელიამ პარაკლისი გადაიხადა. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდნენ. დეპუტატმა და თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა ადგილობრივ მოსახლეობას წმინდა მოწამეთა ხსენების დღე მიულოცეს.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ჰიდროკვანძის რეაბილიტაციის პროცესს გაეცნო

ქალაქ ფოთთან, მდინარე რიონის წყალგამყოფი ჰიდროკვანძის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, წყალგამყოფი ჰიდროკვანძის რეაბილიტაციის პროცესს საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია გაეცნენ.

პროექტის ფარგლებში აღდგება სარეგულაციო ჰიდროკვანძი, კაშხლისა და რეგულატორის ელექტრომექანიკური მოწყობილობები, გარემონტდება წყალგამყოფი კვანძის კონსტრუქცია და დამხმარე ნაგებობები.

მდინარე რიონის ადიდების დროს ჰიდროკვანძი უზრუნველყოფს პატარა ფოთის და ჭალადიდის ტერიტორიების დაცვას.

პროექტს, რომლის ღირებულებაც 1 340 000 ლარია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს.

ქარიატაში „გენდერულ საკითხებზე“ შეხვედრა გაიმართა

ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა გენდერული თანასწორობის საკითხებში თამუნა სიჭინავამ, მოსახლეობასთან საინფორმაციო სახის შეხვედრა ჩაატარა.

აღნიშნულ შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია გენდერული თანასწორობის პრინციპებზე, ძირითადი ცნებების განსაზღვრებებზე, გენდერულ როლსა და სტერეოტიპებზე, გენდერულ დისკრიმინაციაზე, ოჯახში ძალადობასა და ძალადობისაგან დაცვის მექანიზმებზე.

საინფორმაციო შეხვედრას ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მერის წარმომადგენელი ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი ბერაია და განათლების და განვითარების ცენტრის–„თოლისკური-ს“ ხელმძღვანელი გვანცა კიკალეიშვილი ესწრებოდნენ.

ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ხობის მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გაიმართება.

გაღმა საჯიჯაოში ხიდის მშენებლობა დაწყებულია

ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ზენიძგაზე სამანქანო ხიდი ჩაინგრა და სოფელთან დაკავშირება შეუძლებელი გახდა.

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია მუნიციპალიტეტის მერთან გოჩა ქაჯაიასთან, მერის წარმომადგენელთან ედიშერ ფოცხორაიასთან და მთავარ სპეციალისტთან ჯამბულ კვარაცხელიასთან ერთად ადგილზე იმყოფებოდა და გაეცნო შექმნილ ვითარებას.

მოხერხდა მდინარეზე გადასასვლელი ალტერნატიული დროებითი გზის გაჭრა. როგორც მაჟორიტარმა აღნიშნა, ჩანგრეულ ხიდზე საფეხმავლო ბილიკის დამაგრება და მეორე ალტერნატიული დროებითი გზის მოწყობა დაიწყება. პარალელურად დაჩქარებული წესით განხორციელდება ჩანგრეული ხიდის აღდგენა-მშენებლობა.

არსებობს სოფელთან დამაკავშირებელი მეორე ხიდიც, რომლის მშენებლობა უკვე დაწყებულია და სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

ნომრის სტუმარი

კობა თუთბერიძე–ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქალაქ ხობში.

პრიორიტეტი–ქალაქის უკეთესი მომავალი

კობა, თქვენი სახელი ხობში ყოველთვის სპორტულ წარმატებებთან ასოცირდებოდა და ის საპატიო მისია გახლდათ. დღეს კი უფრო პრესტიჟულ თანამდებობაზე მოღვაწეობთ. რას გვეტყვი, რა არის თქვენი მოქმედების არეალი და რას ნიშნავს ეს სამსახური კობა თუთბერიძისთვის?

–უპირველესად დიდი მადლობა თქვენ, გაზეთ „ხობის მოამბეს“, რომ კიდევ ერთხელ მომეცით საშუალება მივესალმო ჩემს ხობელებს.

იყო მერის წარმომადგენელი ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში, უდიდესი ვალდებულება და პასუხისმგებლობაა იმ პოლიტიკური გუნდის მიმართ, რომელმაც ნდობა გამომიცხადა და ამავე დროს, ჩემი თანაქალაქელების წინაშე.

ხობი ჩემი მშობლიური ქალაქია, სადაც დავიბადე და გავატარე ჩემი ცხოვრების შეგნებული წლები. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ხობი იმდენად ფასეულია, რომ მისთვის სამსახური დიდი პატივია.

როგორ შეეგუეთ ახალ თანამდებობას (სამსახურეობრივი კონტრასტების გამო), რა არის დღეს თქვენთვის, როგორც მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლისთვის, ხობისთვის მნიშვნელოვანი საქმეები.

–საქმეები პირობითად შეგვიძლია ორ ნაწილად დავყოთ. ყოველდღიური, რომელიც გულისხმობს მოქალაქეთა მომსახურებას, მათ დაკვალიანებას სხვადასხვა მიმართულებით. ჩემი კომპეტენციიდან გამომდინარე, მაქვს მოქალაქეებთან ურთიერთობის რეკომენდირებული ფორმა და მე და ჩემი თანამშრომლები ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რათა ჩვენთან მოსულმა მოქალაქეებმა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია და ნორმალური სერვისი. და მეორე. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმეებია. ხშირად ვხვდებით ქალაქის მოსახლეობას. ეს არის საშუალება ადგილზე გაეცნო მათ პრობლემებს და ყოველდღიური ცხოვრების ხარისხს. მოსახლეობის ყოფითი პრობლემები კარგად არის დანახული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ და ხდება შესაბამის სამსახურებთან ერთად მათი გადაჭრის გზების ძიება. პრობლემათაგან გამოვყოფდი აზიურ ფაროსანასთან ბრძოლას. დღეისდღეობით შეიძლება ითქვას №1 პრობლემაა რეგიონში. მთავრობის მიერ გამოყოფილი რესურსებით, ქალაქის მასშტაბით უკვე რამდენჯერ განხორციელდა თერმული წესით შეწამლვითი სამუშაოები. შედეგიც თვალშისაცემია. მართალია, მწერის პოპულაცია მკვეთრად შემცირებულია, თუმცა ის მაინც ანგარიშგასაწევია. შემდგომ ეტაპზე დაიწყება მასივების ხსნარით დამუშავება. ადგილობრივი ხელისუფლება, სოფლის მეურნეობისა და მონიტორინგის სპეციალისტებთან ერთად თავდაუზოგავად მუშაობენ, რათა მოსახლეობამ რაც შეიძლება მეტი მოსავალი მოიწიოს.

აგრეთვე აქტუალურ პრობლემად რჩება ქალაქის ერთ-ერთი უბნის (კოლხეთის დასახლება) წყალმომარაგების საკითხი. მათ წლებია არ მიეწოდებათ მაგისტრალური სასმელი წყალი. მიმდინარეობდა კონსულტაციები მუნიციპალიტეტის მერთან. ამ პრობლემის მოსაგვარებლად კომპლექსურად ჩართულია ადგილობრივი ხელისუფლება და ვფიქრობ, ეს საკითხი მოკლე ხანში დადებითად გადაიჭრება.

ის, რითაც დაიწყეთ მოღვაწეობის პირველი დღეები...

–სამსახურში დამხვდა პროფესიონალთა გუნდი. შეიძლება ითქვას, ეს უკვე წარმატებული საქმეების კეთების წინაპირობაა. პირველსავე დღეებში ფეხდაფეხ დავიარე ქალაქის თითქმის ყველა უბანი, ყველა ქუჩა... მქონდა არაერთი შეხვედრა მოქალაქეებთან. მონახაზი, თუ სად რა პრობლემაა. ერთ დღეში ყველაფრის მოგვარება შეუძლებელია, თუმცა პრობლემები, რომლებიც მოსახლეობას აწუხებს, ვფიქრობ, ნაწილობრივ დაძლევადია.

თქვენი პრიორიტეტები...

–ჩვენი ქალაქის და საერთოდ, მუნიციპალიტეტის განვითარება შეუქცევადი პროცესია.

პრიორიტეტი ქალაქის უკეთესი მომავალია. უნდა გვქონდეს ლამაზი, ინფრასტრუქტურულად გამართული ქალაქი ხობი. უნდა დავიმკვიდროთ სუფთა ქალაქის იმიჯი. ამისთვის კი ეტაპობრივად ყველაფერი კეთდება შესაბამისი სამსახურების მიერ. ყველა ქუჩაზე განაწილდა ან ნაწილდება სანაგვე ურნები, ხდება შიდა არხების ამოწმენდა და ა.შ.

მალე ქალაქს შეემატება მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი. ახდება მრავალი თაობის ოცნება. ხობში კვლავაც დაიზრდებიან მსოფლიო დონის სპორტსმენები.

უახლოეს დღეებში დაიწყება ხობისთვის საუკუნის პროექტი–„ახალგაზრდული პარკის“ მშენებლობა და ეს იქნება იდეალური ადგილი მოსახლეობის დასვენებისა და გართობისთვის. ამისთვის ხობელების სახელით, მადლობა ამ საქმის ინიციატორს და მხარდამჭერს–საქართველოს პარლამენტში ხობის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ ირაკლი (დაჩი) ბერაიას.

რაში გამოიხატება ხობელებზე კეთილდღეობისთვის მათი ზრუნვა და ყურადღება (ამბობენ, ძალზე ყურადღებიანიაო).

–ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება ეს ეპითეტი. მიმაჩნია, მართლმადიდებელი ქრისტიანი უყურადღებო ნამდვილად არ უნდა იყოს. დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდებათ ადამიანებს ერთმანეთის თანადგომა და თანაგრძნობა. მე ერთი რიგითი ხობელი ვარ. ვემსახურები ჩემს ქალაქს, როგორც შემიძლია. დანარჩენს ხალხი შეაფასებს. თითოეულ ჩემს თანაქალაქელს ვიცნობ. ვცდილობ, არ ვიყო ინდეფერენტული ადამიანი. თუკი რამეს მივაღწიე ცხოვრებაში, ეს იყო დაუღალავი შრომის შედეგი. არ დავიზარებ, მთელი ჩემი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია მივმართო ჩემი ქალაქის საკეთილდღეოდ და ვაკეთო ის საქმე, რომელიც სარგებლობას მოუტანს ხობელებს.

ის, რაც ამ მოკლე დროში განახორციელეთ თქვენი ინიციტივით და საერთოდ ის, რაც გაკეთდა?

–მივესალმები ადგილობრივი ხელისუფლების თითოეულ ინიციატივას. ქალაქში ბევრი საინტერესო და სასიკეთო პროექტები ხორციელდება. ჩვენ, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, ქალაქის დეპუტატების, რიგითი ხობელების ჩართულობით, ყოველდღიურად ვცდილობთ ქალაქს სიახლე შეემატოს, პრობლემები შეძლებისდაგვარად მოგვარდეს. ეს არცთუ მარტივი პროცესია. ინიციატივები, გეგმები მრავალფეროვანია, თუმცა მათი მოქმედების რელსებზე დაყენებას დიდი ძალისხმევა სჭირდება, მაგრამ როცა ყველა უკეთესობისთვის ზრუნავს, იქ ყველაფერი გამოვა. თქვენი ინციატივითო მკითხეთ, თუ რამ

პირადი ინიციატივით გამიკეთებია, თუ ვინმესთვის დახმარების ხელი გამიწვდენია, ეს ნამდვილად არ ღირს სათქმელად. ეს მევალება არა როგორც ქალაქის ხელმძღვანელს, არამედ როგორც რიგით ხობელს...

რა არის პერსპექტიული მომავალი?

–მომავალზე ზრუნვა უპირველესია.ხობი მომავლის ქალაქია. აქ უნდა იცხოვრონ ჩვენმა შვილებმა,შვილიშვილებმა, მათმა შვილებმა... ნაბიჯ-ნაბიჯ, სწორი დაგეგმვით შეიძლება იმის მიღწევა, რომ ქალაქი, მისი ინფრასტრუქტურა საინტერესო და მისაბაძი გახდეს მთელს ქვეყანაში. და მაშინ არ მოხდება ინტელექტუალური რეზერვის გადინება, ეს თავის მხრივ, მომავლის უზრუნველყოფაა...

ბატონო კობა, ამ სამსახურს როგორ დაუკავშირებდით სპორტულ ცხოვრებას(თქვენს ბოლოდროინდელ სპორტულ წარმატებებზე ცოტა რამ მოგვიყევით)?

–სპორტი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სპორტში ყალიბდები ადამიანად, რამეთუ სწავლობ შრომას, პატივს სცემ სხვის შრომას და ცდილობ ყოველთვის გზაგასაყარზე დარჩე ადამიანად...

დაფასდა ჩემი შრომა. 2017 წელს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ მომანიჭა საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის წოდება, რაც ჩემთვის სასიხარულოც არის და ორმაგად საპასუხისმგებლო.

რაც შეეხება ბოლოდროინდელ შედეგებს, მაისის ბოლოს ბულგარეთის ქალაქ სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მკლავჭიდში,საქართველოს ნაკრებმა ჯამში 111 სხვადასხვა სინჯის მედალი და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა. ჩემი მოსწავლეების მონაგარი 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო იყო. ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ. ყოველთვის მითქვამს და ვამბობ,ხობში რაღაც სხვანაირი, დიდი სპორტული მადლი ტრიალებს. აქ კვლავ აღიზრდებიან ხალასი ნიჭისა და შრომის სიყვარულით დაჯილდოებული ადამიანები, რომლებიც შემდგომში დიდი სპორტსმენები, მუსიკოსები, მეცნიერები, ფერმერები გამოვლენ...

ჩემს დატვირთულ დღის რეჟიმში მკლავჭიდს გარკვეული დრო ეთმობა და საერთოდ, ვცდილობ, სამსახურსაც შევხედო სპორტული ჟინით. უნდა მოერიო პრობლემებს, ბევრი უნდა იშრომო. იცოდე დამარცხების სიმწარეც და გამარჯვების სიხარული. ამჟამადაც მაინც მკლავჭიდზე გავდივარ, ოღონდ ცხოვრებაში...

გმადლობთ ინტერვიუსთვის.

ესაუბრა
ნანი კილასონია.

„Colovfest“ ფერადი ფესტივალი

„ჭადრების ხეივანი“...

ფანტასტიკური, კაშკაშა ფერადი ფესტივალი...

ადგილობრივი და მოწვეული სტუმრები...

გასართობები, თამაშობები...

„ოკვანწეშიები“...

ოვაციები...

ღიმილი, სიხარული, სიყვარული...

ხობი. 2018...

ღია ცის ქვეშ კურსდამთავრებულთათვის მიძღვნილი კონცერტი...

ჩაკეტილი სივრციდან გაქცევისა და ერთად ყოფნის, ერთმანეთის სიყვარულისა და მოფერების, გართობის, ცეკვა-თამაშის, ფერთა სასწაულის, შეუდარებელი სილამაზის, ფრინველების ჭიკჭიკის, ფოთლების შრიალის და ახალგაზრდების

გამოცოცხლების ზაფხულის თაკარა დღე...

პოზიტიური განწყობა, მომხიბვლელი და ბედნიერი გოგო-ბიჭები.

ნინო სიჭინავა–ამ პროექტის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი:

–„ეს ყველაფერი ამ ბავშვების გასართობად ღირდა, მადლობა თითოეულ თქვენთაგანს. უთქვენოდ არაფერი გამომივიდოდა, მიხარია, რომ გაგახარეთ, კიდევ ბევრჯერ მიიღებთ ასეთ სიხარულს ჩემგან“.

უნდა აღვნიშნო, ჟურნალისტის ერთი დამახასიათებელი თვისება–ცდილობს, პიროვნებაში დაინახოს ყველაფერი, რაც მას სხვებისგან განასხვავებს, გამოარჩევს.

მე მასში დავინახე „მუდამ გაზაფხული“, თავისუფალი, გამორჩეული, აქტიური, განსხვავებული, ნიჭიერი, ელეგანტური, გონიერი, კომუნიკაბელური. დიდი პასუხისმგებლობის მქონე, ზოგჯერ „მკაცრი“, მხიარული, სიყვარულით სავსე გოგონა და მის გარშემო ულრუბლო ცა...

და რაც მთავარია, ახალგაზრდები, რომლებიც აღფრთოვანებული იყო მის მიერ ორგანიზებული ღონისძიებებით.

ეს ჩანაწერი სრულად ვერ გადმოგვცემს იმ დიდ ემოციას, რაც იმ დღეს თითეულმა

იქ მყოფმა განიცადა, ულამაზესი, უძლიერესი ემოციებით დატვირთული დღე ყველა ჩვენთაგანისთვის დაუვიწყარი იქნება.

ჩემო მეგობრებო!

სანამ დაგემშვიდობებოდეთ, იმასაც მოგიყვებით, რა თქვეს ახალგაზრდებმა ამ ღონისძიების შესახებ–

ხობი მაგარია,

ჩვენ ვხედავთ მზეს.

თქვენ გამოაცოცხლეთ ახალგაზრდობა. ბედნირი ვართ, რომ ხობში, „ჭადრების ხეივანში“ შენდება გასართობი პარკი, რომელიც ჩვენს ქალაქს უფრო მიმზიდველს გახდის. ბრავო ირაკლი (დაჩი) ბერაიას ამ პროექტის მხარდაჭერისთვის...

ეს სასწაული კიდევ, კიდევ...

კარგ ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი.

ნინო, ნინო, ნინოოო...

კონცერტმა სრული ანშლანგით ჩაიარა...

სცენაზე წამით არ წყდებოდა მუსიკა...

იყო ტაში, ოვაციები, შეძახილები. ისმოდა აღტაცების გამომხატველი სიტყვები. ახალგაზრდები დაუსრულებლად ვივლით მთელ დუნიაზე.

სწორედ ამ ახალგაზრდების მსგავსმა, მათსავით მოაზროვნე, გულწრფელმა და შემართულმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა უნდა უპატრონონ, მოუარონ და ასახელონ ჩვენი ქვეყანა და რა თქმა უნდა, ხობი.

ხვალინდელი დღე ახალგაზრდებისაა.

„ეს ყველაფერი ამ ბავშვების გასართობად ღირდა“

ღონისძიებაში მონაწილეობდა ხობელი გიორგი თათარიშვილის მეგობრები–მუსიკოსები თბილისიდან. PL-მაშო ავალიანი, თორნიკე ჩომახიძე, დავით ხეჩაშვილი მეგობრებთან ერთად (დიმა ჭუმბურიძე და ლევან შერვაშიძე), ზუგდიდიდან ჯგუფი uaden-7 და ანაკლიის საერთაშორისო ფესტივალში გამრჯვებული ჯგუფი (1 ადგილი) „colden voice“ (ხელმძღვანელი ლაშა კვიკვინია) მადლობა მათ მხარდაჭერისთვის, თანადგომისთვის, მადლობა გიორგი თათარიშვილს.

ხობელი ახალგაზრდები მეგი პაპავა, ლიზი ცანავა, ანა ვეკუა, მუსიკალური სკოლის გუნდი ელენე ფარფალია, ნია კვაშილავა, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლაზიკა“ (ხელმძღვანელი პაატა ჭითაშვილი) და თვითნასწავლი მოცეკვავეები ხეთიდან–ლია ბუკია, ნანუკა ქირია, ნინი ბუკია...

დასასრულს ვისრგებლებ შემთხვევით, შანსს ხელიდან არ გავუშვებ და შემოგთავაზებთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს კულტურისა და განათლების საკითხებში **ნინო სიჭინავასთან.**

რითი დაიწყებდით საუბარს?

–მივესალმები გაზეთ „ხობის მოამბეს“ მკითხველს. მე ნინო ვარ (ნინუცა) სიჭინავა. დავიბადე ქ.ზუგდიდში. ხობი ჩემი დედულეთია, ბავშვობაში ხობის ხშირი სტუმარი ვიყავი, უკვე 6 წელია აქ ვცხოვრობ დედასთან და დეიდასთან ერთად.

თქვენი მოსვლით კულტურის სამსახურში?

–რაც შეეხება კულტურის სამსახურს აქ რამოდენიმე თვეა მოვედი და ჯერ კიდევ სწავლის პროცესში ვარ, რაშიც მეხმარება ის დიდი გუნდი, რომელიც დამხვდა და თბილად მიმიღო.

პროფესიით ფინანსისტი ვარ, თუმცა, ხელოვნებასთან წლების წინ საკმაოდ მჭიდრო კავშირი მქონდა. ვსწავლობდი თბილისში, ზ.ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში „ნიჭიერთა ათწლედში“. ვოცნებობდი გავმხდარვიყავი პროფესიონალი პიანისტი, მაგრამ ახლა უკვე, როგორც მოყვარულისა და კულტურის დარგის მუშაკისთვის მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემს ცხოვრებაში. მუსიკა არის შემოქმედება, ადამიანის უნივერსალური დამოკიდებულება სამყაროსადმი.

ჩემთვის პრიორიტეტი ახალგაზრდებია, ვეცდები ბევრი ხალისიანი დღე ვაჩუქო მათ.

თქვენი ჰობი?

–ჩემი ჰობი მუსიკაა. წარმოუდგენელია ჩემი სამყარო მუსიკის გარეშე, მუსიკა, რომელიც სიცოცხლის გარკვეულ მომენტებს ფერებს სძენს.

ახალგაზრდობა აღფრთოვანებული იყო „ფერადი ფესტივალით“, რომელიც თქვენი ორგანიზებით ჩატარდა.

–ეს ღონისძიება, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით ჩატარდა. მისი მიზანი იყო ხობელი ახალგაზრდების ჩართულობა. შემდეგ რა თქმა უნდა, ადგილობრივი თვითმმართველობის თანადგომით მოხდა საბოლოო სახის მიცემა. ეს ღონისძიება იყო ჩემი ერთგვარი გამოცდა, როგორც საზოგადოებასთან, ასევე საკუთარ თავთან და ვთვლი, რომ წარმატებით ჩავაბარე...

მიხარია, რომ მოეწონათ და კიდევ მრავალ, უფრო საინტერესო ღონისძიებას ვპირდებით ჩვენს ახალგაზრდობას.

თვლით, რომ თქვენ ბედნიერ ვარსკვლავზე ხართ დაბადებული?

–ბევრი წინააღმდეგობა მქონია დღემდე, ვიცი რომ კიდევ ბევრი მექნება, მაგრამ მაინც ვთვლი, ხელმომართული ვარ ცხოვრებაში.

გიყვართ ხობი?

–მიუხედავად იმისა, რომ ხობელი არ ვარ, მაქვს გარკვეული ვალდებულებები მის წინაშე. ხობმა მიმიღო დიდი სიყვარულით, რისთვისაც მადლობას ვუხდი ხობელებს. მიყვარს ადამიანები, რომლებიც ამ ქალაქში ცხოვრობენ.

შენი მთავარი კრიტერიუმი?

–ვთვლი, რომ მთავარი კრიტერიუმი განათლებაა, ადამიანის ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარება.

ბუნებამ უთხრა ქალს, იყავი მშვენიერი, თუ შეგიძლია ბრძენი თუ გინდა?..

–აქ ალბათ პიერ ბომარშეს დავესესხები და დავასრულებ „მაგრამ კეთილი და გონიერი უსათუოდ უნდა იყო“. ქალისთვის მნიშვნელოვანია საღად მსჯელობა და გამჭრიახობა. არ ვეთანხმები და ვთვლი, ალბათ, სექსისტურად ჟღერს, რომ ლამაზ ქალს გონების დაძაბვა

5

4

ნაკლებად უწევს.

გატაცების საგანი?

–აქ ისევ მუსიკას დავასახელებდი.

სიურპრიზების მიღება უფრო მოგწონთ თუ მოწყობა?

–არ მიყვარს მოულოდნელობები, შესაბამისად, არც სიურპრიზები მხიბლავს.

რომანტიკოსი ბრძანდებით?

–გარკვეულწილად ალბათ ვარ, მაგრამ უფრო რეალისტი მგონია საკუთარი თავი.

რა არის სიყვარული?

–სიყვარული ღვთისგან ბოძებული უმთავრესი გრძნობაა. სიყვარული ყველაფერია, სიყვარულის გარეშე გაკეთებული არც ერთი საქმე არ გამოვა, ის ყველაფერს ალამაზებს და აკეთილშობილებს.

ნატვრის ახდენამდე...

–ჩვენთვის მომადლებული თავისუფლება ფართო შესაძლებლობებს იძლევა არჩევანისთვის, ამიტომ ვთვლი, რომ ჩვენივე ბედისწერას ჩვენ თვითონვე ვქმნით.

ხვალინდელი დღე...

–ხვალინდელი დღე არის იმედი, სწრაფვა სრულყოფილებისკენ.

თავისუფლება...

–თავისუფლებაზე საუბარი ამოუწურავად შეიძლება...ის არის ზოგადიც, კონკრეტულიც, აბსტრაქტულიც... თავისუფლება ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა საკუთარი თავის, უფლის და გარშემო მყოფთა (ქვეყნის) წინაშე, თუ ეს არ აქვს ადამიანს გაცნობიერებული, „სრულიად“ თავისუფალი ადამიანი საშიშიც კია საზოგადოებისთვის (თავისუფლებიდან ცხოველურ ინსტინქტამდე ერთი ნაბიჯია).

ჯერ არ გითქვამთ თქვენი სათქმელი?

–რა თქმა უნდა არა. სათქმელს ერთბაშად ვერ ვიტყვი, ეს ცხოვრებისეული გამოცდილებაა, რომელიც ნელ-ნელა გიგროვდება და შეიძლება სრულიად, მოულოდნელად ერთ მშვენიერ დღეს რაღაც განსაკუთრებული საქმით, ან საქციელით თქვა შენი სათქმელი.

ოცნებობთ...

–იშვიათად ვოცნებობ... იმაზე უფრო მეტად ვფიქრობ რისი გაკეთებაც რეალურად შემიძლია.

თქვენი ხასიათი...

–ხასიათით სანგვინიკისა და ქოლერიკის ნაერთი ვარ. ძლიერი ემოციების მქონე, აფექტურიც, მოძრავი, სწრაფადცვალებადი. ვთვლი, რომ დადებითი ემოციების მატარებელი ვარ...

ამას უფრო ჩემი მეგობრები და გარშემომყოფები შეაფასებენ!

გმადლობთ!

ესაუბრა
ნაირა ბერაია

აქ ემღერება გულს...

„aisi-ს“ შოუ კონცერტი

დიახ, სწორედ აქ ემღერება გულს, სადაც ჩვენი ბავშვებია, ჩვენი ხვალინდელი დღე, ჩვენი ქვეყნის მომავალი...

„ბავშვობა ხომ ბედნიერი, ყველაზე ლამაზი, დაუვიწყარი, ყველაზე სუფთა და ნათელი წერტილია თითოეული ჩვენთაგანის–ყველა ადამიანის ცხოვრებაში.

დღეს სწორედ ასეთ ლამაზ, საყვარელ არსებებთან, ჩვენს მომავალ თაობასთან ერთად სასიამოვნო წუთებს გავატარებთ, მათ სურთ თავი წარმოაჩინონ, თავი მოგვაწონონ თავიანთი შემოქმედებით და ჩვენგან, ელიან თანადგომას, მხარდაჭერას, აპლოდისმენტებს...

ასე დაიწყო საესტრადო სტუდია „აისის“ წამყვანმა ქრისტინე ფარცვანიამ.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი დღე საოცარ და დაუვიწყარ დღედ იქცა. შესრულდა კომპოზიტორების მაკა არეშიძის, რუსუდან სეფისკვერაძის, ლალი საყვარელიძის, ლილი იაშვილის, მანანა მერაბიშვილის, გიორგი ცაბაძის, სალომე კორკოტაშვილის და ლეგენდარული ჯგუფის „ბითლზების“ რეპერტუარიდან სიმღერები.

საოცარი ურთიერთშერწყმა, საინტერესო და მხიარული მიზანსცენები მრავალმხრივსა და მრავალფეროვანს ხდიდა საღამოს ზღაპრების გმირები, მხიარული თამაშობები, ბედნიერი სახეები, სიცოცხლით სავსე ბავშვები.

ელენე ლაგვილავა–პატარა ასაკიდან მოვიდა სტუდიაში. არის ჭკვიანი, ნიჭიერი, თბილი, არტისტული გოგონა. ოცნებობს ნახოს პარიზი, ლონდონი, რომი და მსოფლიოს სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

ლიკა მიქაუტაძე–ყოჩაღი, ჭკვიანი, აქვს კარგი ხმა და კარგი მუსიკალური მონაცემები, უყვარს ხატვა, ფორტეპიანოზე დაკვრა (მამა და მამიდა მომღერლები იყვნენ) ჰყავს სამი ძმა და ამით ბედნიერია.

ელენე კვარაცხელია–უყვარს სიმღერა, ცეკვა, ფორტეპიანოს დაკვრა, გაწონასწორებული, ვერცხლისწყალივით მოძრავი.

ბარბარე კილასონია–„ბარბი“ ნაზი, სიფრიფანა გოგონა ფორტეპიანოზე დაკვრისა და სიმღერის სიყვარულმა მოიყვანა ჩვენთან. არის ძალიან ნიჭიერი, კომუნიკაბელური, მოწესრიგებული, კარგი მუსიკალური მონაცემების მქონე გოგონა.

სესილი სახურია–ყველაზე პატარა შემსრულებელი. სესო არის ძალიან, ძალიან თბილი და მოსიყვარულე, უყვარს სიმღერა, ხატვა, გაპრანჭვა. ის წელს სკოლაში მიდის და ძალიან უხარია, მოდით, გზა დავულოცოთ მას და წარმატებები ვუსურვოთ.

ანა-სოფია სანაია–ის უკვე მეორეკლასელია, დინჯი, საზრიანი, ლამაზი, შრომისმოყვარე. აპირებს ფორტეპიანოს დაკვრის შესწავლას.

გიორგი ჯღარკავა–სტუდიის დამამთავრებელი კლასის წარმატებული მოსწავლე. ნიჭიერი, გონიერი, მონდომებული, მოწესრიგებული, კარგი მუსიკალური მონაცემების მქონე.

მიხეილ სახურია–ნიჭიერი, ჭკვიანი, ძალიან მოძრავი, კარგი მუსიკალური მონაცემების მქონე ბიჭი. სტუდიაში სწავლის პერიოდში ჩატარებულ ყველა კონცერტზე წარმატებული გამოსვლებით დაამახსოვრა თავი ყველას, უყვარს სიმღერა, ცეკვა, გიტარაზე დაკვრა.

თვალებციმციმა და სიცოცხლით სავსე ბავშვები უმღერიან მზეს და ნათელ მომავალს. სიხარულით სავსე ცხოვრებას. სიკეთეს, სიყვარულს, ბედნიერებას.

სტუდია „aisi-ს“ დამაარსებელი და დღემდე უცვლელი ხელმძღვანელი, ქალბატონი დარეჯან გაბრავა, რომელიც პროფესიონალი მუსიკოსია, თავად არის სცენარის ავტორი, მხატვარი, დიზაინერი და რაც მთავარია, თვალხატულა გოგო-ბიჭების უსაყვარლესი მასწავლებელი. ის 39 წელიწადია ცდილობს მომავალი თაობისთვის მუსიკა, ქორეოგრაფია, ლექსი და საერთოდ, ხელოვნება ცნობადი, ხელმისაწვდომი და ახლობელი გახადოს, რომ წლების შემდეგაც ისულდგმულონ იმ სიყვარულით და ღირებულებებით, რომლებიც ცხოვრებას ამშვენიერებენ უფრო თბილს სასიამოვნოს და მსუბუქს ხდიან.

მათ საოცარი ოჯახი აქვთ. ხალხური სიმღერების მოტრფიალე ბატონი ალიმ ჟიშკარიანი ხობის მუნიციპალიტეტისთვის ცნობადი სახეა. შვილები გიორგი და ვახტანგი მღერიან და უკრავენ (ქალბატონ დარეჯანთან საუბრისას გავიგე, რომ პაატა ბურჭულაძე და ის ერთი ბებია და ბაბუის შვილთაშვილიშვილები არიან).

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული სტუდია „აისის“ მოსწავლეებმა ზაფხულის ცხელი დღე... „გააგრილეს“ ჩვენ კი... დავტოვეთ ბედნიერი, მუსიკის ჰანგებით დამტკბარი დარბაზი, კაშკაშა ფეიერვერკები და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ როგორ უყვართ ბავშვებს მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, თოჯინები, ზღაპრები, სიყვარულის გარემოცვაში ყოფნა, თამაში, გართობა, საყვარელ ადამიანებთან პარკში სეირნობა. (ვისარგებლებ შემთხვევით და საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით „ჭადრების ხეივანში“ გაშენდება უნიკალური ტყე-პარკი, სადაც თითოეულ ბავშვს ექნება შესაძლებლობა ისეირნოს, გაერთოს, დაისვენოს და ბედნიერად იცხოვროს.

მოდით, ურთიერთსიყვარულის დიდი დოზით ვიაროთ ერთად, ვიმღეროთ ერთად. ჩვენი მეგზური სიყვარულია. ეს საქართველო დალოცა ღმერთმა, მზე საქართველოს წმინდა გულია.

წარმატებები „აისს“

ნაირა ბერაია

ჩვენს მუნიციპალიტეტში

წინასწარი დასკვნა კონკრეციებსა და სეპტარიების შესახებ

საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე პრეზიდენტმა, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზურაბ ჯანელიძემ ხობის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხობისწყლის კალაპოტში აღმოჩენილი გეოლოგიური წარმონაქმნების შესახებ წინასწარი დასკვნა წარმოადგინა.

მისი განცხადებით მდინარის კალაპოტის გასწვრივ მიმობნეული გეოლოგიური წარმონაქმნები კირქვიანი კონკრეციებია, რომელიც მდინარის დინების მიერაა დამუშავებული და აღნიშნავს რომ, ასეთი ფორმისა და ზომის ნიმუშები დიდ იშვიათობას წარმოადგენენ. მისივე ვარაუდით არსებული ნიმუშები დიდი ხნის წინათ გადაშენებული ზღვის ცხოველებს, ე.წ. ამონიტებს გვანან, რომლებიც დაახლოებით 60 მილიონი წლის წინათ ბინადრობდნენ.

მოსაზრების გასამყარებლად კი შემდეგ რეკომენდაციებს იძლევა:

1. მოხდეს აღმოჩენილი წარმონაქმნების გადატანა შესაბამის ადგილზე მათი ნგრევა-განადგურებისგან დაცვის მიზნით;

2. ნიმუშები შესწავლილიქნას პროფესიონალი პალეონტოლოგებისა და ლითოლოგების მიერ.

მერიის საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართა

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საქტო დარბაზში ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც კომისიის თავმჯდომარე, ზვიად ბუკია უძღვებოდა.

კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსების გამოცხადება

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატების შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ"

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის გრაფიკის დამტკიცების შესახებ" .

ღია კონკურსები გამოცხადებულია ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში საქმიანობის კოორდინაციის საკითხებში;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობისა და დასახლებებში გარე იერსახის ზედამხედველობის საკითხებში;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი–მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსი;

დ) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ვაკანსიების შესახებ განცხადება გამოქვეყნებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (https://www.hr.gov.ge).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ძვირფასი წინაპრები



მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა მწერალი და მთარგმნელი ჯაჯუ (კონსტანტინე) ჯორჯიკია. ჯ. ჯორჯიკია აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კონსტანტინე ჯორჯიკია დაიბადა 1885 წელს სოფელ ნოჯიხევში (ხობის რაიონი). 1904 წელს ჩაირიცხა ვალაბრის (საფრანგეთი) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრო-ბიოლოგიურ ფაკულტეტზე.1907 წელს დაბრუნდა სამშობლოში და ქუთაისის სკოლებში ასწავლიდა ფრანგულ ენასა და ბუნებისმეტყველებას; 1911 წლიდან იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის დამფუძნებელი წევრი; 1921-1931წწ. - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი; XX ს. 10-იანი წლებიდან მისი მინიატურები, მოთხრობები და თარგმანები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში–„სახალხო გაზეთი", „იმერეთი", „კოლხიდა", „სამშობლო", „გრდემლი", „ოქროს ვერძი" და სხვა;

იმდროინდელი ქართული კრიტიკა მის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდა; 1914 წელს გამოვიდა მწერლის თხზულებათა პირველი კრებული; 1925 წელს–მეორე–„ფერადი მოთხრობები"; ავტორია აგრეთვე ფრანგული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებისა.

ჯაჯუ ჯორჯიკიას „მინიატურები"

ჯ. ჯორჯიკიას შემოქმედება მრავალმხრივ არის საინტერესო. ვისაც, ერთხელ მაინც წაუკითხავს მისი მინიატურები, არასდროს დაავიწყდება მწერლის სტილი და ლაკონურობა.

1925 წელს გამოიცა მწერლის მოთხრობების მეორე კრებული–„ფერადი მოთხრობები". კრებულში შესული ყველა მინიატურა ერთნაირი მხატვრული ღირებულების არ არის, მაგრამ ზოგიერთი თამამად შეიძლება შევიტანოთ იგავური ან ფილოსოფიური ბელეტრისტიკის ქართულ ანთოლოგიაში.

წარმოსახულისა და რეალურის ურთიერთმიმართების საკითხი ისეთივე ძველია, როგორც თვით ლიტერატურა. მოთხრობა „თაიგული" სწორედ ამ საკითხის მხატვრულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

მინიატურების ერთ-ერთი განსაკუთრებული ნიშანი ის არის, რომ მწერალი სიტყვების მინიმალური რაოდენობით ახერხებს გადმოსცეს ფილოსოფიური აზრები, ისე, რომ ეს გასაგები იყოს რიგითი მკითხველისთვის.

კრებულში შესულია რელიგიურ თემაზე შექმნილი მოთხრობები. მაგალითად, „სიყვარული"–მწერალი გვეუბნება, რომ ყველაფრის საფუძველდამდები და მაცოცხლებელი სიყვარულია. იქ სადაც სიყვარულია, ბოროტება მარცხდება და უკან იხევს.

ჯ. ჯორჯიკიას შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდა ცნობილი მწერალი გრიგოლ რობაქიძე.

–„ცოტა ხნის წინ გამოიცა ახალგაზრდა ქართველი მწერლის, ჯორჯიკიას ნაწარმოებების პირველი პატარა ტომი. სამეგრელოს მკვიდრმა თავის თავში შეკრიბა თითქმის ყველა სიმდიდრე საქართველოს ამ შესანიშნავი კუთხისა. სამეგრელო ძველი კოლხიდაა, საიდანაც სათავეს იღებს ქართული კულტურა, ის დღემდე რჩება საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ეთნოგრაფიულ ერთეულად. მუქ-ლურჯი ზღვის ნაპირები ქარივით მოაქანებენ აქეთ ტკბილსურნელოვან მითებს, რომელთა დამაბრმავებელ მდინარებაში დროდადრო ჩაგესმის ძველი ელადის გასხივოსნებული ფანტაზიის ნამსხვრევების ხმაური; უზარმაზარი ტყეების ქალწულებრივი სიღრმეები უყვებიან მას ზღაპრულ ამბებს, რომელთა ჯადოსნურ ნახჭებში იგრძნობა გადამფრენი ფრინველების ლაღი ქროლა. ამ ორმა მომენტმა საბოლოოდ განსაზღვრა ჯორჯიკიას შემოქმედებითი ფანტაზია: ერთი მხრივ, ელინური მითოლოგიური ფანტაზიის გადამტვრეული სხივები; მეორე მხრივ, კი - კოლხიდური ხალხური თქმულებები" (გრ. რობაქიძე–ომი და კულტურა, გამომცემლობა არტანუჯი).

ცნობილ კრიტიკოსს, კიტა აბაშიძეს ჯ. ჯორჯიკია ოსკარ უაილდის ტიპის მწერლობის განმახორციელებლად მიაჩნდა.

ჯორჯიკიას შემოქმედებას დაბალ შეფასებას აძლევდა გალაკტიონი–„მევამტკიცებ, რომ ჯ. ჯორჯიკია, სრულიად უბრალო, ჯერჯერობით უსახო და, მართლაც, ყოველგვარ პრეტენზიას მოკლებული მწერალია" (გ. ტაბიძე, ახალი მწიგნობარი, 1915 წ.)

ჯ. ჯორჯიკია 1931 წლიდან მოღვაწეობდა თბილისში, უმთავრესად პედაგოგიურ სარბიელზე (საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი, ყოფილი 23-ე სკოლა და სხვა);

1944 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლის დირექტორი იყო; მან დიდი წვლილი შეიტანა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გასაუმჯობესებლად, ფართო ასპარეზი დაუთმო მოსწავლეთა საგნობრივ, ლიტერატურულ, თეატრალურ და სხვა შემოქმედებას, ამასთან მოსწავლეებს უნერგავდა დიდსულოვნებასა და

>>>>>>>>>> 7

6

პატრიოტიზმს.

ჯაჯუ ჯორჯიკიას, როგორც საზოგადო მოღვაწესა და პედაგოგს განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იხსნებენ მისი მოსწავლეები.

მსახიობ ნინო ანჯაფარიძის მოგონება:

„ნუ ძალიან თბილისური... ჩემს ყოფილ პირველ საშუალო სკოლაში, ახლა გიმნაზია ჰქვია, ადრე დირექტორი ყოფილა ვათა და კოკა ჯორჯიკიების ბაბუა... ულამაზესი კაცი... ჯაჯუ ჯორჯიკია...მამას და ზურიკოს კი ასწავლიდა საუკეთესო მასწავლებელი ნინო ალადაშვილი(გაუთხოვარი)... მაშინ ბიჭები და გოგოები ცალკე სწავლობდნენ... ნინო უმკაცრესი ყოფილა... ერთხელაც, ზურიკოს თაოსნობით, გაკვეთილის წინ, დაფაზე ბიჭებს დაუხატავთ ის... სამ ასოზე რომ იწყება და მთავრდება... ქალბატონი ნინო კლასში შემოვიდა... შეხედა ნახატს და გამოიძახა ბატონი დირექტორი... ჯაჯუ შემოვიდა და ნინო ეუბნება: „ნახეთ, ამ უსინდისოებმა თვითმფრინავი დახატესო“... ჯაჯუმ დაფას შეხედა და ქალბატონ ნინოს ჰკითხა: „ქალბატონო ნინო, თვითმფრინავიც არა გაქვთ ნანახიო?...“

თენგიზ სიგუას მოგონება:

–„დავამთავრე პირველი ვაჟთა სკოლა. შესაბამის ოლიმპიადებზე ხშირად ვიმარჯვებდი. ეს სკოლა თავისი ორასწლოვანი ისტორიით იყო ცნობილი. განსაკუთრებით მახსენდება დირექტორი–ბატონი ჯაჯუ ჯორჯიკია–მწერალი-ნოველისტი. საინტერესო იყო მისი ზნეობრივი კრედო. იგი ფედერალისტი და ანტიკომუნისტი იყო. პარადოქსი მდგომარეობდა იმაში, რომ ბატონ ჯაჯუს ევალებოდა საბჭოთა კონსტიტუციის კურსის წაკითხვა, თუმცაღა არასდროს უსაუბრია ამ თემაზე. განათლება მას საფრანგეთში ჰქონდა მიღებული, შესანიშნავი მოუბარი იყო, მის გაკვეთილზე ბუზის გაფრენის ხმას გაიგებდით. ისტორიკოსიც იყო და ფილოლოგიც პროფესიით“.

წელს, ჯაჯუ ჯორჯიკიას გარდაცვალებიდან 65 წელი სრულდება.

ლევან ღვინჯილია.

ხიყვარული

ჯოჯოხეთის მძიმე კარები გაიღო და ეშმაკმა ცოდვილი ადამიანი შიგ შეუშვა.

–შენი საუკუნო ბინა აქ იქნება! უთხრა ეშმაკმა ადამიანს და თვითონ მთავრისკენ გაემართა.

ადამიანი მარტო დარჩა.

გაიხედ გამოიხედა და დაინახა, რომ არე-მარე გოგირდის ცეცხლით იყო განათებული, გახურებულ რკინის ორმოებიდან ადამიანებს თავი ამოეყოთ და საცოდავათ ღრიალებდენ.

ხანდახან სივრცეში ისეთი საშინელი ზუზუნი გაისმოდა, რომ ადამიანი დაფრთხა.

ამ დროს მან ერთ ქალს თვალი მოკრა. დააკვირდა...

ქალი მისი სატრფო აღმოჩნდა.

ადამიანი შეშლილივით მისკენ გაემართა და გადაეხვია.

ცეცხლის ალი ორივეს სწვავდა, მაგრამ ტანჯვას არ გრძნობდნენ. პირიქით, მჭიდროთ გადახვეული, ერთმანეთის თვალების ცეცხლში უზომო ნეტარებას კრეფდენ...

ამ დროს გამოჩნდა ჯოჯოხეთისა მთავარი სასტიკი ბელზებელი.

–ადამიანი სად არის?–იკითხა მთავარმა.

–აქ არის!–სთქვა ეშმაკმა და როცა ადამიანი თავის ადგილას ვერ დაინახა, გაოცდა.

–ამას რას ვხედავ!? აგერ ვიღაც ქალს ეხვევა!–სთქვა ბელზებელმა.

–ალბათ მისი სატრფოა–ჩუმათ სთქვა ეშმაკმა.

–შემდეგისათვის ეცადეთ, რომ შეყვარებულები ერთმანეთს არ შეხვდნენ, თორემ როგორც ვატყობ, ისინი ჯოჯოხეთს სამოთხეთ აქცევენ! ბრძანა ჯოჯოხეთის მთავარმა.

ეშმაკმა თანხმობის ნიშნათ თავი დახარა.

ჯაჯუ ჯორჯიკია

თავალსაზრისი

უკვდავყოთ სახელოვან მამულიშვილთა სახელები

ურიგო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ძალიან ბევრი ღირსეული მამულიშვილი აღუზრდია ხობის რაიონს, რომლებიც დიდი წარმატებით ემსახურებოდნენ ქვეყანას და ბევრი მათგანი ამჟამადაც განაგრძობს ხალხის სამსახურს, მათ შორის იყო ერთი გამორჩეული ადამიანი, რომელსაც უშუალოდ ხობისთვის „გაუწევია სამსახური მეტად დიდი“ (შექსპირი) და თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი მისი აღორძინებისა და აღმშენებლობისთვის მიუძღვნია.

საბედნიეროდ, დღესაც ყველას ახსოვს რესპუბლიკის ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელის, მგზნებარე მამულიშვილის, ნაცადი ეროვნული წინამძღოლის ვასილ პავლეს ძე მჟავანაძის სახელი, რომლის მეთაურობითაც მაშინდელმა საქართველომ მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს.

ის, რაც იყო ქვეყნისთვის ვასილ მჟავანაძე, ის იყო ხობისთვის ალექსანდრე წურწუმია,–ათეული წლების მანძილზე ხობელთა ნაცადი წინამძღოლი, ხობს ბევრი ღირსეული ხელმძღვანელი ყავდა, მაგრამ ნუ მიწყენენ თუ კი „წინამძღოლის“ ტიტულით მხოლოდ ბატონ ალიოშას მოვიხსენიებ. ვასილ მჟავანაძე და ალექსანდრე წურწუმია ქვეყნის სიყვარულითა და მუშაობის სტილითაც ძალიან გვანდნენ ერთმანეთს. ამიტომაც იყო, რომ პატარა ხობი ყოველთვის მოიხსენიებოდა „მშვიდ“ რაიონებს შორის...

ახლა რამდენიმე სიტყვით ჟურნალ „ცოტნეიდელში“ გამოქვეყნებული „ინფორმაციის“ შესახებ:

აღნიშნული ჟურნალი შემთხვევით „ჩამივარდა“ ხელში. მისი ავკარგიანობის შესახებ მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი მასშტბური ფორმისა და სიდიდის ჟურნალი (თუ კი ის ჟურნალია) მე ჯერ არ შემხვედრია (450 გვერდზე მეტი).

თუმცა მისი შინაარსობრივი დატვირთვისთვისაც ნამდვილად დაუზარლად უშრომია ჟურნალის იდეის ავტორს ბატონ ნუგზარ ნადარაიას, რომელსაც გულუხვად გამოუქვეყნებია ოჯახური ცხოვრების ამსახველი მასალებიც კი. მაგრამ რამდენადაც ჩვენი წერილის მიზანი ჟურნალის შეფასება არ გახლავთ, ამიტომ გადავიდეთ ძირითად საკითხზე: კერძოდ, იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც ნამდვილად არ ვიცოდით, როგორც მე, ალბათ, ისე სხვა მკითხველმაც–რომ ხობის ცენტრალურ მოედანს მინიჭებული ჰქონია ნუგზარ ნადარაიას სახელი (იხ. 112-113 შორის მოთავსებული ფოტოსურათი წარწერით: „ქალაქ ხობში ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი მამულიშვილის ნუგზარ ოთარის ძე ნადარაიას სახელობის ცენტრალური მოედანი და კულტურისა და დასვენების პარკის ხედი“ (მოგვიანებით გავარკვიე, რომ ის ცრუ ინფორმაცია ყოფილა)

აღნიშნული არ გამკვირვებია, მაგრამ ნამდვილად უკმაყოფილო დავრჩი საკუთარი თავის, რადგან ასეთი ინფორმაცია არ უნდა გამოგრჩეს ნებისმიერ ადამიანს თუკი საზოგადოების პასიური წევრი არ ხარ!

აღნიშნულმა ინფორმაციამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, „მიბიძგა“ მიმემართა საკრებულოსთვის, რათა ანალოგიური პატივი მიგვეგო ხობის ყველა დროის საუკეთესო ხელმძღვანელის (ჩემი აზრით) ბატონ ალექსანდრე წურწუმიას სახელისთვის.

ჩემი აზრით, ცუდი არ იქნება, თუ კი გაზეთის მკითხველებსაც გავაცნობთ (ოდნავ შემოკლებით!) საკრებულოში გაგზავნილი ჩემი წერილის შინაარსს:

„...მიღებული ინფორმაცია მეტად სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ საწყენია ის, რომ ეს ფაქტი „ნახევარმა“ ხობმაც არ იცის, ალბათ იმიტომ, რომ თავის დროზე მოედანზე არც პატარა ბანერი გაკეთებულა და არც იმ ტერიტორიაზე არსებული შენობა–ნაგებობებისთვის საფოსტო ფირნიშები გამოუცვლიათ. არაფერი არ მაქვს საპრეტენზიო ტექსტში ნახმარ სიტყვა „ღვაწლზე“, მაგრამ სიტყვები „ვალმოხდილი მამულიშვილი“, ჩემი აზრით ნამდვილად არასწორად არის ნახმარი.

წელს უსრულდება დაბადებიდან ასი წელი ბატონ ალექსანდრე წურწუმიას, პიროვნებას, რომელმაც ფაქტიურად ააღორძინა და განავითარა ხობის რაიონი.

მისი უშუალო ინიციატივით „პირდაპირ ჭაობში“ შეიქმნა რამდენიმე მეურნეობა, გამოზარდა უთვალავი პარტიული და სამეურნეო კადრი. რამდენ კეთილ საქმეს გააკეთებდა, რომ არ გადაეყვანათ სოფლად მშენებლობის მინისტრის მოადგილედ. მთელმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ალიოშა წურწუმიას ხობში კაცურიკაცის სახელის გარდა არაფერი დარჩენია. ალბათ, მისი თანამედროვეებიც დავტოვებთ ამ სოფელს და აქ არავინ დარჩება ისეთი, რომ გაიხსენებს იმ პიროვნებას, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება შესწირა ხობის აღორძინების საქმეს. ამიტომ თუ შესაძლებელია, ხობის რომელიმე ქუჩას, ან იქნებ ხობისწყლის სანაპიროს (თუ სახელდებული არ არის!) მიენიჭოს ალექსანდრე წურწუმიას სახელი. ნებისმიერი ქუჩა და ადგილი ქალაქში მისაღებია მისი სახელის უკვდავსაყოფად, რადგან არ არსებობს ხობში ისეთი კუთხე, სადაც მას „ბარი არ დაუკრავს“.

თუ ჩვენგან, მისი ყოფილი თანამედროვეებისგან, საჭირო იქნება რაიმე სახის ინიციატივა, ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ თქვენთან, ჩავრთავთ ყველა ხობელს, ვისთვისაც ძვირფასია ალიოშა წურწუმიას სახელი“.

რაც შეეხება ქ. ხობში ერთ-ერთი ქუჩისთვის ალიოშა წურწუმიას სახელის მინიჭების საკითხს, გამოგვეგზავნა ობიექტზე სახელდების წესის დებულება დანართებით საინიციატივო ჯგუფისთვის, საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით, რითაც ჩვენი ჯგუფი ამჟამად სარგებლობს.

ჩვენ არ ვიცით ბატონ ნ. ნადარაიაზე უარის თქმის მიზეზი, მაგრამ ჩვენი საინიციატივო ჯგუფი ეცდება ზუსტად დაიცვას არსებული დებულების მოთხოვნები.

ისე, სწორი გამოდგა ჩემი მოსაზრება ადამიანის მიმართ ჟურნალში სიტყვა „ვალმოხდილის“ ხმარების შესახებ, რადგან დებულების ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, სახელდების წესის განსახორციელებლად, პიროვნება ოცი წლის გარდაცვლილი მაინც უნდა იყოს! ალბათ, „დროის ფაქტორს“ რომ გაუძლოს სწორედ ამიტომ ხომ არ არის, რომ ცოცხლებს „ვარსკვლავებს“ უხსნიან?!

ამჟამად საინიციატივო ჯგუფსა და საკრებულოს ერთი პრობლემა მოხსნილი აქვს–კერძოდ, ბატონ ალექსანდრე წურწუმიას ქუჩის სახელდების საკითხი ძნელი გადასაჭრელი არ არის, ბატონ ალიოშას გარდაცვალებიდან გასული წლები ემთხვევა დებულების პირობებს. ადგილი საძებნი არ არის, რადგან აღნიშნული მოედანი ზედგამოჭრილია ამისთვის. მითუმეტეს ეს ტერიტორია ამოშრობილია უშუალოდ ბატონი ალიოშას ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით, (ადრე იქ გადიოდა ხობის წყლის ერთი ტოტი!) ყველა იქ მდებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობა განხორციელებულია მისი მუშაობის პერიოდში, რაც აუცილებლად უნდა აიხსნას სამთავრობო კომისიაში გასაგზავნ მასალებში.

აღნიშნული წერილი შეიძლება სრულყოფილი არ იყოს ჟურნალისტური თვალსაზრისით, მაგრამ მისი ძირითადი დანიშნულებაა, რომ რაც შეიძლება მეტმა ხობელმა გაიგოს საინიციატივო ჯგუფის მიზანდასახულობის შესახებ და გამოგვეხმაუროს... ვგონებთ, თუ არა ცენტრალური მოედანი თუ მიმდინარე მშენებარე ახალგაზრდული პარკი, იქნებ ერთ-ერთ ქუჩას მაინც მიენიჭოს ბატონ ალექსანდრე წურწუმიას სახელი, რადგან ჩვენი ვალია უკვდავყოთ ღირსეულ მამულიშვილთა სახელები.

გოგი მაკარის ძე ბუკია.

გამოავლინე, შეკურნალე, შეაჩერე

აივ-შიდსის, C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენა პირველად ჯანდაცვაში.

პროექტი ხორციელდება საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის მიერ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის ეგიდით. იგი საპილოტეა და ამ ეტაპზე ტარდება მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის მასშტაბით.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით–2018 წლის 1 აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით დაწყებულია და ჩატარდება საპილოტე პროგრამით 18 წლის ზემოთ მოსახლეობის C ჰეპატიტზე და აივინფექციაზე ტესტირება და ტუბერკულოზის სიმპტომებზე მოსახლეობის გამოკითხვა. გამოკვლევები არის უფასო.

საქართველოში კვლავაც მაღალია აივ-შიდსის, C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის გავრცელება. ეს დაავადებები ხშირად დიდი ხნის მანძილზე სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს და ამიტომ, ბევრმა ადამიანმა არც კი იცის, რომ ინფიცირებული ან დაავადებულია აივ-შიდსით, C ჰეპატიტითა ან ტუბერკულოზით.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოში ორი აივ-ინფიცირებული ადამიანიდან ერთმა არ იცის საკუთარი სტატუსი. C ჰეპატიტის ყოველი სამი შემთხვევიდან მხოლოდ ერთია დადგენილი, ტუბერკულოზით დაავადებული ყოველი 2 ადამიანიდან მხოლოდ ერთის გამოვლენა ხერხდება, რაც ზრდის ტუბერკულოზის შემდგომი გავრცელების რისკს, უფრო მეტიც, ეს დაავადება ურთიერთკავშირშია და ხშირად ერთად იჩენს თავს.

ტუბერკულოზით დაავადებული ასი ადამიანიდან 5-ს შესაძლოა, აივ-შიდსიც ჰქონდეს, ხოლო აივ-შიდსის მქონე ადამიანების ნახევარს, C ჰეპატიტიც. ეს კავშირი აიხსნება იმით, რომ აივ-ინფექციის და C ჰეპატიტის, როგორც სისხლის გზით გადამდები ინფექციების გავრცელების გზები მსგავსია. ორივე ვირუსი ყველაზე ხშირად გადაეცემა:

–ინექციური ნარკოტიკების საერთო შპრიცითა და ამ მიზნით გამოყენებული სხვა, საერთო ატრიბუტების მოხმარებისას.

–სამედიცინო დაწესებულებებში არასტერილური სამედიცინო იარაღების გამოყენების დროს.

–შეუმოწმებელი სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმის დროს. აივ-შიდსისა და C ჰეპატიტის ზემოქმედებით დასუსტებული ორგანიზმი მეტად მგრძნობიარე ხდება ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიის მიმართ, რაც ზრდის დაავადების რისკს.

აივ-შიდსის, C ჰეპატიტის და ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენისა და სწორი მკურნალობის შემთხვევაში, გამოსავალი კეთილსაიმედოა.

გამოიყენეთ ოჯახის ექიმთან ვიზიტი, როგორც შესაძლებლობა იმისთვის, რომ გაიგოთ თქვენი სტატუსი.

მოვუწოდებთ, ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და მივმართავთ თხოვნით ჩაიტარეთ–სწრაფი ტესტი აივ-ინფექციაზე.

–ჩაიტარეთ სწრაფი ტესტი C ჰეპატიტზე.

–იფიქრეთ ტუბერკულოზზე, თუ ხანგრძლივად გახველებთ, უჩივით საერთო სისუსტეს, ტემპერატურის მომატებას ან წონაში კლებას, უთხარით ამის შესახებ ოჯახის ექიმს.

–ტუბერკუიელოზის სიმპტომებზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით მნიშვნელოლვანია, თუ უკვე გაქვთ დადგენილი აივ-შიდსი ან C ჰეპატიტი.

თუ ტესტების პასუხი დადებითია, ან ოჯახის ექიმი ჩათვლის, რომ მაღალია ტუბერკულოზის ალბათობა, მიმართეთ სპეციალიზებულ სამსახურებს დიაგნოზის დაზუსტებისა და მკურნალობისთვის

აივ-ინფექციის, C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, პაციენტებისთვის უფასოა.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.

ჯონი ხეცურიანი ევროპის ვერცხლის პრიზიორია

იტალიის დედაქალაქ რომში მიმდინარე ევროპის პირველობაზე წარმატებით იასპარეზა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა ჯონი ხეცურიანმა.

ხობელმა ფალავანმა ფინალური შეხვედრა ბელარუს ალექსანდრ ლიავონჩიკთან დათმო და 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი გახდა.

ვულოცავთ ხობელ სპორტსმენს მოპოვებულ წარმატებას.

მოყვარულ ფეხბურთელთა პირველობაზე

საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის, საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის, რეგიონის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერითა და ხელშეწყობით ტარდება რეგიონის პირველობა მოყვარულ ფეხბურთელთა შორის, სადაც 10 გუნდი იღებს მონაწილეობას. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან რეგიონის პირველობაზე გამოდიან მუნიციპალიტეტის 2018 წლის ჩემპიონი და მეორე პრიზიორი ხეთისა და შუა ხორგის ფეხბურთელთა გუნდები, რომლებიც აბაშის, სენაკის, ფოთის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ზუგდიდის გუნდებს ეთამაშებიან. კარგად აიღეს სტარტი ხეთელმა ფეხბურთელებმა 7 თამაშიდან 5 მოიგეს, მხოლოდ 2 წააგეს და ლიდერთა ჯგუფში იმყოფებიან. მათ აქვთ დიდი შანსი, რომ გავიდნენ რესპუბლიკურ ეტაპზე.

შუა ხორგელებმა 7 თამაშიდან 2 მოიგეს, 3 ფრედ დაამთავრეს, 2 წააგეს და ინარჩუნებენ შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსს.

იმედია, მომავალ შეხვედრებზე კარგად იასპარეზებენ ხეთის და შუა ხორგის ფეხბურთელთა გუნდები და წარმატებით და დაიცავენ ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტულ ღირსებას.

წარმატებები ვუსურვოთ მათ.

ლევან ლემონჯავა

მოლოცვა

მარი გაგუას

უაღრესად ჭკვიანო, ნიჭიერო, ყველას მოსიყვარულო და ვისვისა გოგონავ, გილოცავ დამადგმის დღეს. ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებულ სწავლას, ხალისიან დღეებს და ნამდვილ სახელოვან ქალად აღზრდას გისურვებ.

უფალი იყოს შენი შემწე და მფარველი. ღმერთმა დაგლოცოს. გეხვევი და გკოცნი.

დიდი სიყვარულით

შენი ნაირა.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-20-31; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.